ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი.0160, შარტავას ქ.7 ტელ:2378501, 2378396

# შემოწმების აქტი № 000405

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 14.04.2016წ.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;
ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;
გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;
დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;
ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: [illegible]

ობიექტის დასახელება და მისამართი: [illegible]

შემოწმებით დადგინდა: [illegible]

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

[illegible]

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

[illegible] 14.04.2016

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევის თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

## №000405 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

დარღვევები:

**ფასადები :** მოსაპირკეთებელი მასალა NBK-ს წარმოების კერამიკული მასალა, მინა და ალუმინის ნაცლად მოწყობილია კაპიტალური კედლები და მეტალო-პლასტმასის კარები, ლითონის მოაჯირებით. პროექტით გათვალისწინებულ აივენზე მოწყობილია კაპიტალური კედლები მეტალო-პლასტმასის კარებით, რის ხარჯზეც გაზრდილია შიდა ფართი. 24.40 ნიშნულის ზემოთ დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია (კოლონებისთვის).

**„4-1" ფასადი :** „4-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია 4.70 ნიშნულზე ჩამავალი პანდუსი და გაუქმებულია ავტომობილის ლიფტი, ამავე მონაკვეთში გაზრდილია კიბის გაბარიტი და მონაცვლებული აქვს ადგილი. „2-1" მონაკვეთში შემცირებულია კიბის გაბარიტი.

ნაწილობრივ შეცვლილია შენობის კონფიგურაცია. პროექტში ერთი ფაქტურით არის ნაჩვენები მონოლითური და ბლოკის კედლები, ასევე შეცვლილია გარე კედლების სისქე. დამატებულია რიგელები. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდებობა. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების ადგილმდებარეობა და რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ადგილდებარეობა და ფორმა. 0.00 ნიშნულზე „1'-1" და „4-4" ღერძზებთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. 4.70 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში „გ-გ" ღერძთან გაუქმებულია კიბე, ამავე მონაკვეთში გაუქმებულია ლიფტის ჩაღრმავება. 7.40 ნიშნულზე „ბ-გ" მონაკვეთში „1-1" ღერძთან კედელში დამატებულია ხვრელი, ამავე ნიშნულზე „3-4" მონაკავეთში „გ-გ" ღერძთან დამატებით მოწყობილია მონოლითირი ფილა, აღნიშნულ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. 7.40 ნიშნულზე შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილის ფორმა.

წამყვანი სპეციალისტი ________________ / თ.ხიჯაკაძე

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

________________________________________

________________________________________

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური**

№ 4-1/02 460-16

„14" 04 2016 წ.

დადგენილება №000405
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

14.04.2016წ.

ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2016 წლის 14 აპრილის №000405 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", ამხანაგობა **"ჩხეიძის ქუჩა №20"-ის** (თავმჯდომარე ნუგზარ ბეგიაშვილი (პირადი №01024016722, მის: ქ. თბილისი, უ. ჩხეიძის ქ. №20, საკ. კოდი №01.13.08.010.030) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, უ. ჩხეიძის ქ. №20-ში (საკ. კოდი №01.13.08.010.030) ამხანაგობა "ჩხეიძის ქუჩა №20"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/821 20.04.2011წ. ბრძანებით (№746590 AR1133285 19.06.2013წ. ბრძანება №2359568 AR1363759 24.12.2015წ.) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადები: მოსაპირკეთებელი მასალა NBK-ს წარმოების კერამიკული მასალა, მინა და ალუმინის ნაცლად მოწყობილია კაპიტალური კედლები და მეტალო-პლასტმასის კარები, ლითონის მოაჯირებით. პროექტით გათვალისწინებულ აივნებზე მოწყობილია კაპიტალური კედლები მეტალო-პლასტმასის კარებით, რის ხარჯზეც გაზრდილია შიდა ფართი. 24.40 ნიშნულის ზემოთ დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია (კოლონებისთვის). „4-1" ფასადი: „4-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია 4.70 ნიშნულზე ჩამავალი პანდუსი და გაუქმებულია ავტომობილის ლიფტი, ამავე მონაკვეთში გაზრდილია კიბის გაბარიტი და მონაცვლებული აქვს ადგილი. „2-1" მონაკვეთში შემცირებულია კიბის გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის კონფიგურაცია. პროექტში ერთი ფაქტურით არის ნაჩვენები მონოლითური და ბლოკის კედლები, ასევე შეცვლილია გარე კედლების სისქე. დამატებულია რიგელები. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების ადგილმდებარეობა და რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ადგილდებარეობა და ფორმა. 0.00 ნიშნულზე „3-1" და „4-4" ღერძებთან



ქ. თბილისი 0160, უ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. 4.70 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში „ბ-გ" ღერძთან გაუქმებულია კიბე, ამავე მონაკვეთში გაუქმებულია ლიფტის ჩაღრმავება. 7.40 ნიშნულზე „ბ-გ" მონაკვეთში „1-1" ღერძთან კედელში დამატებულია ხვრელი, ამავე ნიშნულზე „3-4" მონაკავეთში „ბ-გ" ღერძთან დამატებით მოწყობილია მონოლითირი ფილა, აღნიშნულ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. 7.40 ნიშნულზე შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილის ფორმა.

2016 წლის 14 აპრილს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000405 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №122088/12 06.04.2016წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ამხანაგობა "ჩხეიძის ქუჩა №20"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ქ. ჩხეიძის ქ. №20-ში (საკ. კოდი №01.13.08.010.030) ამხანაგობა "ჩხეიძის ქუჩა №20"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/821 20.04.2011წ. ბრძანებით (№746590 AR1133285 19.06.2013წ. ბრძანება №2359568 AR1363759 24.12.2015წ.) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ამხანაგობა "ჩხეიძის ქუჩა №20" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ამხანაგობა "ჩხეიძის ქუჩა №20"-ს დაევალოს, საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ამხანაგობა "ჩხეიძის ქუჩა №20"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

მ. ჯაყელი

**საგადასახადო დავალება**
**Payment Order**

# 0 GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი"

თარიღი / Date: 15/04/2016

| | |
|---|---|
| გადამხდელი / sender | რეფერენსი / Ref. Num. |
| ნუგზარ მეგიაშვილი (ბონუსი დეპოზიტზე), 01024016722 | 1341832706 |
| გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE48TB1199145066522334 | თანხა / Amount |
| გადამხდელის ბანკი / Sender's bank — ბანკის კოდი / Bank Code | 4,000.00 GEL |
| სს თიბისი ბანკი — TBCBGE22 | |
| ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა<br>inforamtion on a person on behalf of whom the payment is made | თანხა სიტყვიერად<br>Amount in words |
| დასახელება / Name: ნუგზარ მეგიაშვილი (ბონუსი დეპოზიტზე), 01024016722 | ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი |
| საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code: 01024016722 | |
| მიმღები / Receiver | გადარიცხვის საკომისიო<br>Transfer Fee |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ | 2.8 GEL |
| მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: 300773263 | |
| მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury — ბანკის კოდი / Bank Code | ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date |
| ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური — TRESGE22 | 15/04/2016 |
| გადახდის დანიშნულება / Operation Details | |
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო | ხელმოწერა<br>Signature |
| დამატებითი ინფორმაცია / Additional information | |
| ჯარიმა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ,დადგენილება 000405,უშანგი ჩხეიძის ქუჩა 20 | შტამპის ადგილი |

ხელმოწერები
Signatures — ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

15/04/2016 4:00:35 PM
1341832706
ქეთი მეშმარიაშვილი